ცვლილებები ძალაშია 2026 წლის 11 ნოემბრიდან.
ინტერნეტ-გვერდზე www.procreditbank.ge განთავსებულ „საბანკო მომსახურების პირობებში" შევიდა შემდეგი ცვლილება-დამატებები:

1) **შეიცვალოს „საბანკო მომსახურების პირობების" 29[3ა] მუხლის 1-ლი, მე-2 და მე-4 პუნქტები:**

1) კლიენტი/პოტენციური კლიენტი ფიზიკური პირის მიერ დისტანციური არხით საბანკო ანგარიშის გახსნის შემთხვევაში, კლიენტს თავდაპირველად ავტომატურად გაუაქტიურდება „საბანკო პროდუქტების ნაკრები - **მინიმალი**"-თ განსაზღვრული მომსახურება (შემდგომში „მინიმალი"), რომელიც შეუნარჩუნდება ანგარიშის გახნიდან ერთი (1) თვის განმავლობაში. აღნიშნული პირობა არ ვრცელდება სახელფასო ანგარიშით მომსახურების ფარგლებში კლიენტთა მომსახურებაზე, რომლებსაც დისტანციური არხით საბანკო ანგარიშის გახსნის დროს ავტომატურად გაეხსნებათ „საბანკო პროდუქტების ნაკრები - სტარტი" და დაურეგისტრირდებათ ციფრული ბარათი (კლიენტი უფლებამოსილია ისარგებლოს სტარტის ნაკრებით განსაზღვრული ყველა მომსახურებით და ბენეფიტებით.

2) მინიმალით სარგებლობის პერიოდის განმავლობაში კლიენტი ვერ შეძლებს საბანკო პლასტიკური ბარათის აღებას და სარგებლობას, შეუძლია მხოლოდ ისარგებლოს ციფრული ბარათით, ასევე, მის მიერ ვალუტის კონვერტაციაზე და სხვა სახის საბანკო მომსახურების მიღებაზე, რაც არ არის გათვალისწინებული მინიმალის ნაკრებით, იმოქმედებს ბანკის სტანდარტული ტარიფები და საკომისიოები.

4) იმისათვის, რომ კლიენტმა, რომელიც სარგებლობს „მინიმალით", შეძლოს ბანკის მიერ შეთავაზებული მომსახურებით და დაკავშირებული ბენეფიტებით სარგებლობა, ზემოაღნიშნული ვადის განმავლობაში უნდა აირჩიოს „საბანკო პროდუქტების ნაკრები - პრემიუმი" (მუხლი 29[5]), „საბანკო პროდუქტების ნაკრები - სტარტი" (მუხლი 29[9]), ან „საბანკო პროდუქტების ნაკრები - კომფორტი" (მუხლი 29[10]) განსაზღვრული ერთ-ერთი მომსახურება. შესაბამისად, კლიენტი ვალდებულია გაეცნოს „პრემიუმის", „სტარტის" და „კომფორტის" მომსახურების პირობებს და შესაბამის სტანდარტულ ტარიფებს.

2) **„საბანკო მომსახურების პირობების" 29[8] მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსი 4.5 პუნქტი და შესაბამისად დაკორექტირდეს მომდევნო წინადადება:**

4.5. ციფრული ბარათის რეგისტრაცია და მომსახურება (არაუმეტეს 3 ციფრული ბართი).

კლიენტი უფლებამოსილია უარი განაცხადოს 4.3 ან 4.5 ქვეპუნქტებში მოცემული რომელიმე პროდუქტის გააქტიურებაზე რა დროსაც „მინიმალის" მომსახურების საკომისიო არ შეიცვლება.